



## ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის  
6 თვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
  - 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
  - 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

### 1. შესავალი

2013 წლის 6 თვის განმავლობაში სულ განხილულია 425 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 80 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 54 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს; თბილისის საქალაქო სასამართლომ – 35, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ – 4, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ – 5, რუსთავის საქალაქო სასამართლომ – 6, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ – 2, გორის რაიონულმა სასამართლომ – 1, თელავის რაიონულმა სასამართლომ – 1);
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს; ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 8, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 6, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ – 8, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ – 1, მესტიის რაიონულმა სასამართლომ – 1, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ – 2).

### 2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

#### 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ და „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტები, ასკ-ის 32.4 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლოში (№3ბ/1630-11 27.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/559-11 19.07.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის შემოწმებისას საქმის განხილვა გაიმართა მესამე პირის მონაწილეობის გარეშე, რომელსაც სასამართლო უწყება არ ჩაჰდარდა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ გამოიყენა ასკ-ის

32.4 მუხლი. სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გამოსაკვლევ გარემოებათა მითითების გარეშე დავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქმის განხილვა იმ მხარის მონაწილეობის გარეშე, რომელსაც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სხდომის შესახებ არ ეცნობა, წარმოადგენს კანონით განსაზღვრული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, რაც საპროცესო კანონმდებლობის თანახმად იწვევს სასამართლო აქტის გაუქმებას. რაც შეეხება სადაც საკითხის გადაწყვეტილად აქტის ბათილად ცნობას, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია. ამასთანავე ამ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა. მითითებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს- 1794-1762(3კ-11) 16.01.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/493-12 02.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/89 30-11 29.02.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ არქიტექტურის სამსახური ვალდებული იყო, გადაწყვეტილება მიეღო საბჭოს დასკვნის საფუძველზე. სასამართლომ განსახილველ საქმეზე ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ იმსჯელა მოსარჩელის არგუმენტებზე და ვერ დაასაბუთა სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობა. ამდენად, განჩინება იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული არ იყო.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საბჭოს დაუსაბუთებელი უარყოფითი დასკვნა განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეიძლება ყოფილიყო შეფასების საგანი და არა გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი საფუძველი. ასევე მხარეს უნდა სცოდნოდა, რა მიზეზით ეთქვა უარი მას მოთხოვნის დაგმაყოფილებაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. სასამართლომ ასევე არ იმსჯელა მოსარჩელის არგუმენტებზე და არ დაასაბუთა მოთხოვნის უსაფუძვლობა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით, ასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, ბათილად ცნო სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ქ. თბილისის მერიას დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-535-526(კ-12) 31.01.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 393.2, 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, 105.2 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-89-2012 09.03.12), ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/196-11 28.12.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას უგულებელყო მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 393.2 მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, გამოიყენა

კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და მიღლო იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. ასევე სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის მასალები და საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები ობიექტურად არ შეაფასა. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელი იყო, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს მოსარჩელის სარჩელის დასაშვებობის თაობაზე ასკ-ის 22-24-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობების გათვალისწინებით. ამასთან, სასამართლომ უნდა იმსჯელოს კანონიერ მოსარგებლედ აღიარების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით წარმოადგენს თუ არა სასამართლოს განხილვის კომპეტენციას. ასევე ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოეყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გარემოებების გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-410-405(კ-12) 29.01.13).

— ანალოგიური საქმეა №ბს-678-664(კ-12) 30.04.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/376-12 28.06.12.

**ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/9854-11 31.01.12).**

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 172-ე და 394-ე<sup>1</sup> მუხლები):**

ქუთაისის საპელაციო სასამართლომ (№3/ბ-158-12 26.03.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/5-12 09.02.12) შემოსული საპელაციო საჩივრის განხილვისას სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და თვითონაც არ დაიშნა ექსპერტიზა, მოუხედავად იმისა, რომ არსებობდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა, რის გამოც დაუსაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის, ხოლო მისი უარყოფა ხდება სასამართლოს დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი დასკვნები არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და საკითხის გარკვევისთვის სპეციალური ცოდნაა საჭირო. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საპელაციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განმეორებითი ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადო პროფესიულ თვისებებთან შესაბამისობის დადგენაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული შემთხვევაში არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-433-428(კ-12) 23.01.13).

### **სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/131-12 21.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/19 44-11 24.11.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დამატებით არც ერთ გარემოებაზე არ იმსჯელა, ასევე არ გამოიყენა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მიღლოს ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილობის საკითხის გარკვევა საჭიროებდა დამატებით სპეციალური სამედიცინო ცოდნის გამოყენებას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები დავის გადაწყვეტისათვის არ იყო საკმარისი. დავის გადაწყვეტა საჭიროებდა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენას. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „„ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისთვის დაბრუნების საფუძველი (განჩინება №ბს-448-443(კ-12) 13.02.13).

### **სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-4, მე-19 და 32.4 მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/149-12 30.03.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-386/11 30.11.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის შემოწმებისას განსახილველი დავა გადაწყვიტა არსებითად მაშინ, როცა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე სრულყოფილად არ იყო მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო. ამასთანავე არ გაითვალისწინა, რომ აღმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოარკვია იყო თუ არა სადავო მიწის ნაკვეთი მოსარჩევის საკუთრება, ასევე მიწის ნაკვეთები ფარავდა თუ არა ერთმანეთს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ სადავო მიწის ნაკვეთსა და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობაზე უკვე არსებობდა რეგისტრირებული საკუთრების უფლება, საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურმა უნდა დაადგინოს რეალურად სადავო მიწის ნაკვეთისა და, შესაბამისად, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის ადგილმდებარება, მესაკუთრები, მოწმედ დაკითხოს მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრები, რათა სარწმუნოდ დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, შეაფასოს აღიარების კომისიის გადაწყვეტილება და ამ შეფასების შემდეგ სადავო მიწის ნაკვეთი დაარეგისტრიროს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლოს წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აღმინისტრაციული აქტები და აღმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-483-477(კ-12) 02.04.13).

– ანალოგიური საქმეა №ბს-521-512(კ-12) 02.04.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-131-12 29.03.12.

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3-533/11 28.12.11).

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, 412-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/266-12 21.03.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/8295-11 16.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოება და შეცდომით დადგენილი ფაქტის საფუძველზე მიღლო გადაწყვეტილება. ასევე არ გამოიყენა სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი მაშინ, როცა არსებობდა საქმის განხილვის შეჩერების პირობა კრების ოქმთან დაკავშირებით სამოქალაქო დავის გადაწყვეტამდე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოცემული საქმის განხილვის შეჩერების პირობა კრების ოქმთან დაკავშირებით დავის გადაწყვეტამდე. თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.06.12წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რადგან გადაწყვეტილება ამხანაგობის ყველა წევრს არ მიუღია. სსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად, მხარეებს არ აქვთ უფლება, სადაცოდ გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. ამდენად, არსებობდა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული განჩინების სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (განჩინება №ბს-451-446(კ-12) 28.02.13).

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105.2 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/563-12 17.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3030-11 16.02.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა, აკმაყოფილებდა თუ არა განმცხადებლის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი დოკუმენტურია სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სადაცო აქტის მოთხოვნებს. შესაბამისად, სასამართლომ თავი აარიდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების (წარდგენილ ამონაწერებს, საიჯარო ქირის გადახდის ქვითრებს) განხილვას, როთაც სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სსკ-ის 105.2 მუხლის მოთხოვნათა დაცვით სათანადოდ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის, ის გარემოება, რომ კასატორი საიჯარო ქირას 2010-2011 წლის ჩათვლით იხდიდა. სააპელაციო სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სადაცო უძრავი ქონების ძველი და ახალი მესაკუთრეების ახსნა-განმარტების ურთიერთშეჯვრების საფუძველზე, ხელახლა უნდა დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-566-556(კ-12) 28.02.13).

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105.2 და 135-ე მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/728-12 05.07.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/681-12 12.04.12) შემოსული სააპელაციო

საჩივრის შემოწმებისას არასწორად მიუდგა სადავო საკითხს და სამართლებრივად არასათანადოდ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები. კერძოდ, დაუსაბუთებელია საქმეში წარმოდგენილი უფლებადამდგენი დოკუმენტების მტკიცებულებად არმიჩნევასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, იმ საფუძვლით, რომ მათ არ გააჩნიათ სათანადო იურიდიული ძალა, რადგან საქმეში წარმოდგენილი იყო უფლებადამდგენი დოკუმენტის ქსეროასლები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოში ასლის სახით წარდგენილი დოკუმენტისათვის მტკიცებულების მინიჭების საკითხს წყვეტს სასამართლო, რაც იმას გულისხმობს, რომ დოკუმენტის ასლს სასამართლოსათვის სსკ-ის 135-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად მტკიცებულების ძალა გააჩნია. საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით განმცხადებლისათვის უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის წარდგენის დავალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები და საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-656-642(კ-12) 11.04.13).

#### სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 26<sup>2</sup>.6 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/426-12 15.05.12) ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/262-11 15.02.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სათანადოდ არ გამოიკვლია საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, სამართლებრივად არ შეაფასა, არ გააქარწყლა სააპელაციო საჩივრის მოტივები და საქმეში არსებული საარქივო ცნობები შეფასების გარეშე დატოვა, არ იმსჯელა გაყოფის აქტის დაურეგისტრირებლობისას რა სამართლებრივი უფლებები გააჩნია ან არ გააჩნია მოსარჩევეს, მათ შორის – სარჩევის დასაშვებობის საკითხის თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოარკვიოს მოსარჩევის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი იყო თუ არა გაყოფის აქტი და ცნობა კომლის პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის საერთო ფართის შესახებ. აგრეთვე უნდა შეფასდეს ცნობაში მითითებული საცხოვრებელი ოთახის ფართობის მონაცემებს შორის სხვაობა. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, თუ რა კანონიერი ინტერესი გააჩნდა მოსარჩევეს სადავო აქტების ბათილად ცნობის მიზნით და მათი ბათილად ცნობით მოსარჩევე რა შედეგს მიიღებდა. მითითებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება № ბს-580-570(კ-12) 26.02.13).

#### სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105.2 და 195-ე მუხლები, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70.1 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/734-12 28.06.12) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/218-11 05.10.11) შემოსული საჩივრის

განხილვისას ისე უთხრა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომ სრულყოფილად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ამიტომ სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. სასამართლომ მხოლოდ მოპასუხე მხარის მითითებებზე დაყრდნობით უარყო სარჩელი და არ იმსჯელა ადმინისტრაციული ორგანოს – სააღსრულებო ბიუროს შესაძლებლობაზე, თავად მოეთხოვა მოსარჩელისათვის სააღსრულებო ფურცლის წარდგენა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70.1 მუხლის დებულება არ გამორიცხავს იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტას, შეჩერებასა და გადადებას სხვა საფუძვლით. მოცემულ შემთხვევაში არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც დაწყებული სააღსრულებო წარმოება ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ, სკ-ის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად უნდა შეაფასოს და მხოლოდ საქმის გარემოებათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-727-711(კ-12) 07.03.13).

**სასამართლოს შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 ნაწილი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1085-12 14.03.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-351/11 31.10.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ აღსრულების დაწყების შემდეგ გადახდილი ჯარიმის თანხიდან სასამართლო აღმასრულებელმა პროპორციულად სწორად ჩამოაჭრა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადარიცხა აღსრულების საფასური, რაც არ ეწინაღმდეგებოდა კანონის მოთხოვნას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააღსრულებო ბიურომ სრულად უგულებელყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-15 პუნქტი, რომლის თანახმადაც, საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში აღსრულების საფასური არ გადაიხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანება, გააუქმა დაწყებული საქმის წარმოება თანმდევი შედეგებით და აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაავალა სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე გადარიცხოს აღსრულების ანგარიშზე გადატანილი იძულებითი აღსრულების საფასური (გადაწყვეტილება №ბს-416-411(კ-12) 28.03.13).

**სასამართლოს შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1545-11 14.03.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1310-06 08.02.11) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია აღმასრულებლის თითოეული დამოუკიდებელი მოქმედება, არ გაითვალისწინა, რომ სარჩელი მოიცავდა პრეტენზიას ქონების შეფასების ოდენობის შესახებ. მოსარჩელემ საეჭვოდ მიიჩნია მისი კუთვნილი ქონების შეფასება და აუქციონის ჩატარებამდე თავისი ხარჯებით უზრუნველყო დამატებითი აუდიტორული შეფასების ჩატარება. ამის შესახებ წერილობით აცნობა აღმასრულებელს, წარუდგინა შესაბამისი შეფასების აქტი და კანონით დადგენილი ერთოვანი ვადის დაცვით სასარჩელო წესით გაასაჩივრა აღმასრულებლის ქმედება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აუდიტორული დასკვნა, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია და შეუფასებია აღნიშნული მტკიცებულებები დავის გადაწყვეტისათვის არსებითი გარემოების დასადგენად. კერძოდ, მოვალის ქონების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე განხორციელდა თუ არა რეალურ ფასად. ასევე იმ პირობებში, როდესაც აუქციონის ჩატარებამდე აღმასრულებლისათვის ცნობილი გახდა სარეალიზაციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო დასკვნის არსებობის შესახებ, მოვალის უფლებების დასაცავად მიმართა თუ არა ყველა ზომას. სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა და შეუფასებინა, აღმასრულებელს შეეძლო თუ არა სათანადო ზომები გაეტარებინა სარეალიზაციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-500-494(კ-12) 20.06.13).

#### სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე და 26<sup>2</sup>-ე მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/667-12 07.08.12) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-156-11 21.10.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ შეაფასა, თუ რამ განაპირობა ასკ-ის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული, პრაქტიკულად ყველა სახის სარჩელის წარდგენა სასამართლოში და პირველი ინსტანციის სასამართლომ კვალიფიციურად გამოიყენა თუ არა სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა არასწორად ჩამოყალიბდა და დადგენილ იქნა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეს არ განუმარტა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რაც შესაძლოა, თავიდანვე გამხდარიყო სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების საფუძველი. საკასაციო სასამართლოს შეუფასებით თუკი სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ამ ფორმით აღმორა დაუშვებელი იყო, სასამართლო ვალდებული იყო, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას, ასკ-ის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ან შეეწყვიტა საქმე დაუშვებელობის მოტივით, ან თავად გამოეყენებინა ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და დახმარებოდა მხარეს სარჩელის ტრანსფორმირებაში და მოთხოვნის ჩამოყალიბებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება № პს-829-813(კ-12) 26.03.12).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 23-24-ე და 33.1. მუხლები, სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/803-12 26.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1024-12 10.05.12) სააპელაციო საჩივრის განხილვისას მოსარჩელის მიერ ასკ-ის 24-ე მუხლის მითითების მიუხედავად, არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ ასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობების დაცვის, მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობის საკითხზე, ასევე არ იმსჯელა მოთხოვნის დაზუსტებაზე და არც მოთხოვნის ნაწილში სათანადო მოპასუხის ჩართვაზე. სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძვლად მიუთითა საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებისა და ამავე დადგენილებით შექმნილი კომისიის არსებობაზე, რომელიც მუშაობს დავალიანების დაფარვის რეკომენდაციებზე. მიუხედავად ამისა კომისია, როგორც სადაცო სამართალურო თომობის მონაცემებს საქმის განხილვაში არ ჩაურთავთ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონქვემდებარე აქტის გამოცემის მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა განეკუთვნებოდა არა ასკ-ის 24-ე, არამედ 23-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებებით სარჩელის სახეობას, ასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებს ამავე კოდექსის 33.1 მუხლი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას, ადმინისტრაციული ორგანოსთვის აქტის გამოცემის დავალებას უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამოდენიმე პირობას. საკასაციო პალატის განმარტებით, რადგან სასარჩელო მოთხოვნა მოიცავდა არა მხოლოდ სავალო ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავებას, არა მხოლოდ შესათანხმებლად წარდგენას, არამედ მის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, ასეთი შეთანხმების დავალება ვერ დაეკისრებოდა მხოლოდ საქმეში მოპასუხედ ჩართულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ასკ-ის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმეზე ასევე ჩართული უნდა იყოს უწყებათაშორისო კომისია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არ იყო დასაბუთებული და არ ემყარებოდა საქმეში დაცულ მტკიცებულებებს. ამდენად, არსებობდა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გაუქმებისა და საქმის ხელახლი განხილვისათვის დაბრუნების პირობები (განჩინება №ბს-622-610(კ-12) 23.05.13).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლი და სსკ-ის 83-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-426-12 03.09.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-267/12 29.06.12) სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოარკვია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი მიწის შემადგენელ ნაწილს თუ სხვა მიწის ნაკვეთს. ამასთან სადაცო საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნებოდა თუ არა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის კომპეტენციას და ასეთ ვითარებაში არსებობდა თუ არა ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებისა და სსკ-ის 83-ე მუხლის შესაბამისად, სათანადო მოპასუხის დაზუსტების წინაპირობა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით,

მოსამართლეს შეუძლია, დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავდა რაიმე მსჯელობას მხარის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ კომისიის მიერ მიჩნეული სოფლის გზა შედიოდა მოსამართლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთში და მისი ნაკვეთის შემდეგ აღარ გრძელდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-811-795(კ-12) 16.05.13).

#### სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 377.1, 390.3 „გ“):

ქუთაისის საპელაციო სასამართლომ (№3/ბ-16-2012 14.03.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-329/11 07.11.11) სააპელაციო საჩივრის განხილვისას, მტკიცებულებათა შეკრებისა და გამოკვლევის გარეშე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოპასუხის სახლის მშენებლობით მოსამართლის სუბიექტურ უფლებასა და კანონიერ ინტერესს პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგებოდა და არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი მაშინ, როცა აღნიშნული წარმოადგენდა სარჩელის დაუშვებლობის მოტივით საქმის შეწყვეტის პროცესუალურ საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება – განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას, გაზიარებას, უარყოფას, ან გაქარწყლებას. იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის მოტივები არ გააქარწყლა და არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-435-430(კ-12) 26.02.13).

#### სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-16.2 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2231-11 22.03.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1805-11 12.10.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის შემოწმებისას საქმე არსებითად ისე განიხილა, რომ საქმის განხილვაში არ მოუწვევია ის პირები, რომელიც განსახილველი სამართლურთიერობის მონაწილეები იყვნენ, ასევე არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ მოსარჩელის კუთვნილი ნაკვეთის მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს აუცილებლად უნდა ჩაება საქმეში სავალდებულო მოწვევის მესამე პირები, ასევე უნდა გამოეკვლია ცვლილებების მიზეზები და რა გახდა იმის საფუძველი, რომ საინვენტარიზაციო გეგმაზე არ დაუტანიათ გამმიჯნავი ხაზი. აღნიშნული გარემოებების დადგენის მიზნით საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-422-417(კ-12) 02.04.13).

**სასამართლოს შეცდომა (კონსტიტუციის 82.2 მუხლი, სსკ-ის მე-10 მუხლი, ასკ-ის 29-ე და 32.4 მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-887-11 20.12.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-284/11 19.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის შეფასებისას, საქართველოს კონსტიტუციის 82.2 და სსკ-ის მე-10 მუხლის უგულებელყოფით არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიებაა, რაც გამორიცხავდა შეჩერებული აქტის საფუძველზე ყოველგვარი მოქმედების შესრულებას. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაცო აქტის გამოცემისას ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და არ შეასრულა კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობები, რის შედეგადაც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქალაქო სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობა, რომლის მიხედვით სასამართლომ დაადგინა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რაც აპელანტს არ გაუსაჩივრებია და შევიდა კანონიერ ძალაში. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 82.2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სსკ-ის მე-10 მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მოცემულ შემთხვევაში იკვეთება ასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული აქტის მოქმედების შეჩერება, რა დორსაც დაუშვებელია აღნიშნული აქტის საფუძველზე განხორციელდეს რაიმე ქმედება, ვიდრე ზაკ-ის 30-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში ან სასარჩელო წარმოება სხვაგვარად არ დასრულდება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა შეჯერების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც არ განუხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათოლად ცნო გასაჩივრებული აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ს-286-282(კ-12) 30.04.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 216-ე და ასკ-ის 26.2 მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-370-2012 25.10.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/144-2012 11.06.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქმე განიხილა საპროცესო ნორმების უგულებელყოფით. კერძოდ, სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ გაუვლია მთავარი სხდომის მთელი რიგი სტადიები. კერძოდ, სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე გადადო მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით, მომდევნო სხდომაზე, ნაცვლად იმისა, რომ გაეგრძელებინა საქმის განხილვა წინა სხდომაზე შეწყვეტილი პროცესუალური სტადიდან, გამოაცხადა მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და განმარტა, რომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ დასკვნებთან დაკავშირებით, რის გამოც უხეშად დაარღვია სსკ-ის 216-ე

მუხლით დადგენილი მოთხოვნები. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა წინამდებარე საქმეში არ გამიჯნეს ადმინისტრაციული და სამოქალაქო მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მთავარი სხდომის ჩატარებულობა ან არასრულფასოვანი ჩატარება უხეშად ღამის მხარეთა საპროცესო უფლებებს. სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, მტკიცებულებათა გამოკვლევას, მხარეთა პაქტობასა და რეპლიკას შინაარსობრივი, საქმის გადაწყვეტისთვის არსებითი მიმდევრულობა აქვს. სწორედ ამ სტადიების სრულყოფილად და თანმიმდევრულად გავლის შეძლვომ ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ადმინისტრაციული წესით განსჯადი ვერ იქნება სადაცო სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობა, ვინაიდან სადაცო ხელშეკრულება კერძო სამართლებრივი ბუნებისაა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე საჭიროებს ხელახლა განხილვას, რადგან სასამართლომ დავა ფაქტობრივად არ განიხილა. ასევე არ გამოიკვლია საქმის მასალები, რითაც შეილახა მხარეთა საპროცესო უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №887-869(კ-12) 14.05.13).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/83-12 29.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2662-11 28.11.11) სააპელაციო საჩივრის განხილვისას საპროცესო ხარჯების საკითხის გადაწყვეტისას მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში სსკ-ის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. **საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ინვალიდები ყველა სარჩელზე თავისუფლდებიან. იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე მეორე ჯგუფის ინვალიდია და 2007 წლიდან იღებს პენსიას, საკასაციო სასამართლომ, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება სასამართლო ხარჯების ნაწილში და ამ ნაწილში მიიღო ახალი გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ ქვედა ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ (გადაწყვეტილება №ბს-426-421(კ-12) 18.04.13).

## 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები:

**სასამართლოს შეცდომა (პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/1562-11 08.11.11) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/77-11 27.06.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა, ასევე მებაღების

წევრების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რომელთა თანახმადაც დასტურდება, რომ მოსარჩელის მთელი ოჯახი მართლზომიერად ფლობს მიწის ნაკვეთს. სასამართლომ მხედველობაში არ მიღო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, არასწორად განმარტა პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენას, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არის თუ არა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების საფუძველი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის ფაქტი შეიძლება დადასტურებულიყო „სხვა დოკუმენტითაც“. ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო საჯარო რეგისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-22-22(კ-12) 31.01.13).

— ანალოგიური საქმეა №ბს-569-559(კ-12) 02.04.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/693-12 07.06.12.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1108-12 27.04.12)

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 53.5 და მე-60<sup>1</sup> მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/331-12 06.06.12) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/221-11 31.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შეფასებისას არ გაითვალისწინა ზაკ-ის 53.5 და მე-60<sup>1</sup> მუხლების მოთხოვნები და მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ დაადასტურა საჯარო რეგისტრის სარეგისტრაციო სამსახურის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების კანონწინააღმდეგობრიობა. ამდენად, არ არსებობდა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეგისტრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს ისე ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივად არ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, რა დროსაც მას შეეძლო და ვალდებული იყო, მიეწვია ყველა დაინტერესებული პირი, რომელთა ინტერესსაც შესაძლოა შეხებოდა ეს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო, თავისი გადაწყვეტილება დაემყარებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, რაც ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა

სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-651-637(კ-12) 11.04.13).

#### სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-279-12 21.06.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/679-11 27.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ისე გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტაცია გასაჩივრებული აქტების კანონიერებაზე, რომ არ გაითვალისწინა ამ აქტის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობა, არ მიიღო შენდებობაში ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავისი ქმედებით გასცდა კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებს და ფაქტობრივად მოსარჩელეს წაართვა საკუთრება მთლიან ფართზე მაშინ, როდესაც მხარეები შხოლოდ 8 კვე-ზე დაობდნენ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერი ნდობის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით დაპირებას – აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უდავოდ მიიჩნია აღნიშნული აქტის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობა. განსახილველ შემთხვევაში გასარკვევია, უფლებამოსილი იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანო, ბათილად ეცნო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის მიმართაც მოსარჩელეს გააჩნდა კანონიერი ნდობა და მისი ბათილად ცნობით მოსარჩელეს მიადგა ზიანი. საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებობს სადავო ბრძანების ბათილად ცნობის ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილითა და ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-699-685(კ-12) 06.06.13).

#### სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 102-ე მუხლი, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-18 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/838-12 19.07.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2111-12 17.05.12) სააპელაციო საჩივრის განხილვისას ზოგადად შეაფასა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და პირობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები მაშინ, როდესაც სასამართლოს განხილვის საგანი იყო ადმინისტრაციული ორგანოს უარის კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად გაიზიარა კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთება, რომ მოსარჩელეს ზაკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოუდგენია რაიმე ახალი მტკიცება, რომელიც განაპირობებდა განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. სასამართლომ ასეთ გარემოებად არ მიიჩნია ექსპერტიზის დასკვნა და აღნიშნა, რომ მოცემული საექსპერტო კვლევა არ ადასტურებდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე კანონის ამოქმედებამდე კაპიტალური შენობის განთავსების ფაქტს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზაკ-ის 102-ე მუხლი უშვებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის იმ საკითხზე ხელახლა მიმართვის

შესაძლებლობას, რომლის თაობაზეც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოება (მტკიცებულება), რომელიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. იგივე წესია დადგენილი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-18 მუხლით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არც ადმინისტრაციულ ორგანოსა და არც სასამართლოს გადაწყვეტილება არ ასაბუთებს, რატომ არ იყო ექსპერტიზის დასკვნა საქმარისი მტკიცებულება იმ ფაქტის დასადასტურებად, რომ შენობა არსებობდა 2007 წლამდე. ასევე რატომ არ დასტურდებოდა მთითოებული მტკიცებულებით საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება და რატომ უარყო სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გაუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-635-623(კ-12) 25.04.13).

სასამართლოს შეცდომა („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 50-ე პუნქტი და 36-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/484-12 30.04.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1042-10 03.09.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ დაადგინა, მოსარჩელემ დაარღვია თუ არა კანონი. ასევე არ დაადგინა მოსარჩელემ კონკრეტულად რომელი სამშენებლო ნორმები არ დაიცვა, არ გამოარკვია ახალი სახურავის მოწყობისას შეიცვალა თუ არა გაბარიტები და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამჟამად ლეგალიზებულია სადავო ნაგებობა და მიღებულია ექსპლუატაციაში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ განახორციელა ძველი, ამორტიზებული სახურავის დემონტაჟი და შეცვალა დაზიანებული სახურავი, ე.ი. ჩატარებულია რემონტი-შეკეთება, ეს კი არ საჭიროებდა აღმინისტრაციული ორგანოსაგან დასტურს ან მშენებლობის ნებართვას. „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მშენებლობის ანდა რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის ჯარიმს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობის გაბარიტები შეიცვალა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო ჯარიმის თაობაზე აღმინისტრაციული აქტი და აღმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-469-464(კ-12) 30.04.13).

სასამართლოს შეცდომა („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლი, აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი) თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1867-11 28.12.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2258-11 28.09.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ზედამხედველობის სამსახურს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი ერთ ობიექტზე აღმოჩენილ სხვადასხვა სამშენებლო სამართალდარღვევაზე გამოეტანა სხვადასხვა სამართლებრივი აქტი და რამდენიმეჯერ

დაეჯარიმებია მოსარჩელე. ასევე არ გაითვალისწინა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლები მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადაცო აქტების გასაჩივრება აჩერებს საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულებას, ამასთანავე სადაცო აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადაცო აქტები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაცო სამართალურთიერთობების მიმართ შესაძლებელია სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის შემდგომ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ზელახლა განსაზილეველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-215-213(კ-12) 06.06.13).

— ანალოგიური საქმეა №ბს-604-592(კ-12) 27.02.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/611-12 31.05.12.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/8762-11 30.03.12).

**სასამართლოს შეცდომა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-19 და 123.1 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/527-12 10.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/6991-11 15.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ისე შეაფასა კანონიერად სააპელაციო ორგანოს მიერ მოსარჩელის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მიჩნევის საკითხი, რომ ვერ დაასაბუთა, თუ რაში გამოიხატა მისი ბრალეულობა. ობიექტურად არ იქნა გამოკვლეული და შეუასებული შემთხვევის აღგილზე არსებული ვითარება და ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, რა მიზეზებმა განაპირობა მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის აღგილიდან გადაყენა, რა ამოძრავებდა მძღოლის შემთხვევის აღგილის მიტოვებისას, არსებობდა თუ არა იმგვარი ობიექტური გარემოება, რომლის მიხედვითაც შეიძლება გამოირიცხოს მისი ბრალეულობის საკითხი უკიდურესი უკიდურებლობის პირობებში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებული დაჯარიმების გამოყენებისას და მძღოლის მოქმედების შეფასებისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტები, რამდენადც პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ იარსებებს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის კვალიფიკაცია და მისი შეფარდება პირისთვის კანონსაწინააღმდეგო იქნება ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ასკ-ის 32.1 მუხლის შესაბამისად, ბათილად ცნო საპატრულო პოლიციის ადმინისტრაციული აქტები და მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა ზიანის ანაზღაურება და ჯარიმა-საურავის დაბრუნება (გადაწყვეტილება №ბს-544-535(კ-12) 02.04.13).

სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/59 3-12 29.05.12) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-324-11 10.02.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გასაჩივრებული აქტების კანონიერების შემოწმებისას ფორმალურად მიუდგა საკითხს და არ იმსჯელა მოსარჩელის არგუმენტებზე და არასწორად განმარტა „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული ნორმა მიზნად არ ისახავდა კონკრეტული სამართლურო იურიდიკობის მოწესრიგებას სხვათა უფლებების შეზღუდვის საფუძველზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებს რეგისტრაციის წარმოებას სხვისი საკუთრების უფლების შეზღუდვის ხარჯზე და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება არის საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტი. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარეგისტრაციო სამსახურს უძრავ ნივთზე საკადასტრო მონაცემების დაზუსტებამდე უნდა გამოეკვლია ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობა-არარსებობის ფაქტი, შეედარებინა სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია მასთან დაცულ მონაცემებთან, დაედგინა მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა არ დაეშვა ერთი ნაკვეთის მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერების არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადაცო აღმინისტრაციული აქტები და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა სადაცო ფართზე რეგისტრაციის განხორციელება (გადაწყვეტილება №ბს-671-657(კ-120 16.05.13)).

სასამართლოს შეცდომა (საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მუ-3 პუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/825-11 15.08.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/395-12 27.04.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გაიზიარა პირები ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა კომპენსაციის მიღების უფლების სუბიექტს, ვინაიდან ის არ აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებით გათვალისწინებული წესით განსაზღვრულ ერთსულიანი ოჯახის კრიტერიუმებს, რადგან საქმეში არ მოიპოვებოდა განკარგულებებით განსაზღვრულ პირთა მიერ ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტები ოჯახის შემადგენლობის სისწორის შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და შეაფასა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ერთსულიან ოჯახად დაარეგისტრირა გამგეობამ კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში და მოსარჩელის ოჯახის შემადგენლობა საეჭვოდ არ გაუხდიათ ადმინისტრაციულ ორგანოებს. სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად სასამართლომ მიუთითა მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული თანხის ამოწურვაზე. ასეთ პირობებში და ამ მოტივით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული

განჩინება და საქმე ზელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №781-765(კ-12) 16.05.13).

– ანალოგიური საქმეა №ბს-637-625(კ-12) 16.05.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/529-12 23.05.12.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/7823-11 01.03.12).

სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-784-12 26.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1408-12 07.05.12) სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელებისათვის კომპენსაციის დანიშნის საფუძველი არ არსებობდა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების შესაძლებლობას, რადგან მთავრობის დადგენილებით არ დაზუსტდა ფინანსთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის დანიშნის უფლების მქონე პირთა წრე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელებისათვის კომპენსაცია პირველად დაინიშნა 2010 წლის სექტემბრიდან და ისინი სარგებლობდნენ ყველა სოციალური შეღავათითა და გარანტით და მათთვის კომპენსაციის შეჩერება, შეწყვეტა ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე განხორციელდა, მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმა ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ადმინისტრაციული ორგანოს უძოქმედობა არ შეიძლება გამხდარიყო პირის მდგომარეობის გაუარესების საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ პირებს კანონიერი ნდობა გააჩნდათ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო ადმინისტრაციული აქტი და სსიპ სოციალური მომსახურების საგენტოს დააკისრა მოსარჩელეების სასარგებლოდ მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა (გადაწყვეტილება №ბს-735-719(კ-12) 30.05.13).

სასამართლოს შეცდომა (საქართველოს პრეზიდენტის 29.01.2007 წლის №73 ბრძანებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-2<sup>2</sup> ქვეპუნქტი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-236-12 14.05.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/672-11 27.01.12) სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 29.01.2007 წლის №73 ბრძანებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-2<sup>2</sup> ქვეპუნქტი და აღნიშნა, რომ უძრავი ქონების იდეალური წილის სახით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა არ ეწინაღმდეგება დასახელებულ ბრძანებულებას. ასევე არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხისათვის ბინის უსასყიდლოდ გადაცემისათვის საჭირო იყო მოსარჩელის თანხმობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონფლიქტის პირობებში მერია არ იყო უფლებამოსილი მიეღო სადაც აქტი, მით უფრო იდეალური წილების განსაზღვრით. აღნიშნული ბრძანებულება არ განსაზღვრავდა თანხმობის არარსებობის პირობებში განცხადების გადაწყვეტის სამართლებრივ შედეგს. პირთა შორის

კონფლიქტის გადაწყვეტა სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას წარმოადგენს და მმართველობით ორგანოებს, გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა, სადაც საკითხების გადაწყვეტის კომპეტენცია არ გააჩნიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გაუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი (გადაწყვეტილება №ბს-596-585(კ-12) 29.01.13).

სასამართლოს შეცდომა („მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ კანონის მე-2-4 მუხლები“):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-92-2012 28.03.12) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-255 13.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-4 მუხლები და მიიჩნია, რომ პირს მხოლოდ მაშინ აღიარებენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებისა და მტკიცებულებების გამოკვლევით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული იძულების რომელიმე ფორმა. საქმის მასალებით კი, არ დასტურდება მოსარჩელის მშობლების სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური მოტივი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ მოითხოვა მშობლების აღიარება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რომლებთან ერთადაც 1951-1953 წლებში იმყოფებოდა გადასახლებაში. თავად შვილი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით. საკასაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ მიიჩნია მოსარჩელის მშობლების გადასახლების ფაქტი და მათი გამწესება სპეციალური დასახლების ადგილზე. ეს გარემოება კი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთი იძულების ფორმადაა აღიარებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გაუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილებად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-436-431(კ-12) 17.01.13)

— ანალოგიური საქმეებია: №ბს-384-379(კ-12) 04.03.13; №ბს-438-433(კ-12) 16.05.13; №ბს-475-469(კ-12) 23.05.13; №ბს-379-374(კ-12) 28.03.13; №ბს-518-509(კ-12) 04.03.13; №ბს-408-403(კ-12) 18.04.13; №ბს-383-378(კ-12) 23.05.13; №ბს-479-473(კ-12) 06.06.13; №ბს-698-684(კ-12) 06.06.13; №ბს-526-517(კ-12) 04.03.13; №ბს-737-721(კ-12) 18.04.13; №ბს-750-734(კ-12) 20.06.13.

იგვე შეცდომა დაშვებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიერ: №3/ბ-97-2012 07.03.12; №3/ბ-123-12 30.03.12; №3/ბ-79-12 29.03.12; №3/ბ-114-2012 02.03.12; №3/ბ-91-12 05.04.12; №3/ბ-101-2012 06.03.12; №3/ბ-65-2012 24.02.12; №3/ბ-125-12 05.04.12; №3/ბ-126-12 29.05.12.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-516-12 30.04.12; №3/ბ-450-12 17.04.12; №3/ბ-983-12 04.09.12.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/457-2011 16.01.12; საქმე №3/599 27.01.12; საქმე №3/282-2011 30.12.11).

ზელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3-228 30.01.12; საქმე №3-233 30.12.11; საქმე №3-220 29.12.11; საქმე №3-224 27.12.11; საქმე №3-215 16.01.12; საქმე №3-229 16.01.12).

ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/240-11 12.03.12; საქმე №3/272-11 24.02.12; საქმე №3/66-12 13.06.12).

სასამართლოს შეცდომა (იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/362-12 30.04.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2812-11 31.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის თანახმად, განმარტა: თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათზე უფლება არ არის აღრიცხული, მაგრამ სააღრიცხვო ბარათში ინახება უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, ტექნიკური აღრიცხვის არქივი ინფორმაციას გასცემს სააღრიცხვო ბარათში დაცული შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და მიიჩნია, რომ ცნობა-დახასიათება სრულად ასახავდა უძრავ ნივთზე ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში დაცულ დოკუმენტაციაში არსებულ მონაცემებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივში არსებული მონაცემებით უძრავ ნივთზე აღრიცხული სარგებლობის უფლება ძალადაკარგულია, მაშინ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ ინფორმაციის გაცემისას აღნიშნული უფლება არ მიეთითება, ხოლო მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით უძრავ ნივთზე არ არის აღრიცხული სახელმწიფოს ან სხვა პირის საკუთრების უფლება, უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან უძრავ ნივთზე ინფორმაციის ან ცნობა-დახასიათების გაცემისას მიუთითოს, რომ უძრავ ნივთზე უფლება არ არის აღრიცხული. ვინაიდან უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილებას, აღნიშნული ინფორმაციის გაცემა გულისხმობს საარქივო მასალების დამუშავებას, ურთიერთშეჯერებას არსებულ დოკუმენტებთან. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ასკა-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ბათილად ცნო გასაჩივრებული აქტები და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა (გადაწყვეტილება №576-566(კ-12) 31.01.13).

სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის 25-ე პუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1384-11 25.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2692-09 21.01.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სადავო რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღებისას დაცული იყო უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მოთხოვნები და რეგისტრაცია განხორციელდა უფლებადამდგენი დოკუმენტის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ანტრესოლს ცალკე საკადასტრო კოდი არ მინიჭება,

რის გამოც მიიჩნია, რომ ანტრესოლი ცალკე უფლების ობიექტად არ იყო დარეგისტრირებული.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად განმარტა, რომ თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით ირკვევა, რომ უძრავი ნივთი წარმოადგენს დუპლექსის ტიპის ნაგებობას, ან ერთ სისტემაში გაერთიანებულ სხვადასხვა სართულზე მდებარე სათავსებს აქვთ ერთი შესასვლელი, რეგისტრაცია ხორციელდება, როგორც ერთ სარეგისტრაციო ობიექტზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული, საჭიროა სადავო სამართალუროთირთობის ყველა მონაწილის ჩაბმა და დავის სავნის დაზუსტება, რის გამოც ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1738-1707(კ-11) 27.02.13).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.1 მუხლი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3/2032-11 08.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4581-11 31.10.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მიიჩნია, რომ მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე საკადასტრო ინფორმაცია საჯარო რეესტრში დაცული არ იყო. სასამართლომ ასევე არ შეაფასა ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა ნაკვეთთან დაკავშირებით სადავო აქტების გამოცემამდე. ამდენად, დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული აქტები მიღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი და მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა წარმოშობდა ნაკვეთზე რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არის მიწასარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითადი საფუძველი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.1 მუხლის შესაბამისად, თუ სარეგისტრაციო ობიექტზე მოთხოვნილია რამდენიმე ისეთი უფლების რეგისტრაცია, რომლებიც თავიანთი შინაარსით გამორიცხავს ერთმანეთს, მაშინ რეგისტრირდება მხოლოდ ის უფლება ან უფლებები, რომელიც (რომლებიც) სხვა უფლებაზე ან უფლებებზე აღრე იქნა წარდგენილი სარეგისტრაციოდ. საკასაციო პალატამ იმ საფუძვლით, რომ ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებისათვის, ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები და ქონების მართვის სააგენტოს დაავალა საქმის გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება (გადაწყვეტილება №ბს-367-363(კ-12) 28.02.13).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 269-ე, 271-ე, 281.3 მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-319-12 27.07.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/134-12 23.05.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების შეფასებისას არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 269-ე და 271-ე მუხლის მოთხოვნები იმის

თაობაზე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე პროცედურის არსებით დარღვევას წარმოადგენს, ასევე არ გამოარკვია, რა ობიექტური გარემოებებით იყო გამოწვეული სამართალდარღვევის ოქმის სხვა ადგილას შედგენა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც ორიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და გამოიკვლიოს კერძოდ საგადასახადო ინსპექტორმა რატომ არ შეადგინა სამართალდარღვევის ადგილზე ოქმი, რა ხელისშემსლელი ფაქტორები არსებობდა და რატომ არ იქნა მითითებული აღნიშნული ფაქტის თაობაზე ოქმში. გარდა ამისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახლი შესწავლისას უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო კოდექსის 281.3 მუხლში განხორციელებული ცვლილებაც ჯარიმის ოდენობის შემცირების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტი და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-695-681(კ-12) 05.02.13).

#### **სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/513-11 03.05.11) გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/92-10 17.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ გადასახადით უნდა დაიბეგროს ის პირი, ვის სახელზეც ირიცხება სასოფლო-სამუშაოების მიწა. იმ ფაქტს, რომ ნაკვეთი სხვა პირის სარგებლობაში არასწორად იყო გადაცემული რაიონის გამგეობის მიერ, მიწის გადასახადის დაბეგვრის მიზნებისთვის სააპელაციო პალატის აზრით მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასევე სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა მიწის გადასახადის გადაანგარიშებისა და ზემდეტად გადახდილი თანხის მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლის ნაწილში, 13.06.19 77 წლის საგადასახადო კოდექსის 237.2 მუხლის თანახმად, ხანდაზმულად მიიჩნია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე არ ფლობდა მისთვის გადაცემული ნაკვეთების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც გამგეობის აქტების საფუძველზე არამართლზომიერად გაიცა იჯარით სხვა პირებზე. ამდენად, კანონიერ საფუძველს მოკლებულია მოსარჩელისთვის იმ პერიოდზე მიწის გადასახადის დაკისრება, რომლის განმავლობაშიც მას მიწის ნაკვეთი ჩამორთმეული ჰქონდა. გარდა ამისა, სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლისას არ გაითვალისწინა მოსარჩელის განცხადება, რომ გადასახადის დარიცხვის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა არა 2002 წელს, არამედ 2007 წელს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გადასახადის დარიცხვის დოკუმენტის ჩაუბარებლობა წარმოადგენდა მიწის გადასახადზე საურავისაგან განთავისუფლების საფუძველს, გადასახადის და მისი გადაუხდელობისათვის საურავის დაკისრების საფუძვლის არარსებობა იყო პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახული დავალიანების გაუქმების საფუძველი. ამასთანავე, 13.06.19 97წ. საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლით გათვალისწინებული თანხის დარიცხვის ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სადლეისოდ არ არსებობს სადავო პერიოდზე მიწის გადასახადის დაკისრების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ

შემთხვევაში არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის და სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი (განჩინება №ბს-1108-1097(კ-11) 28.02.13).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 12.23, 87.13, 281.15 და 281.21 მუხლები):** თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1046-11 01.09.11) თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/262 08.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 12.23, 87.13, 281.15 და 281.21 მუხლების მოთხოვნები და მიიჩნია, რომ სადავო აქტები არ ეხებოდა მოსარჩელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია საგადასახადო მოთხოვნა აღიარებულ დავალიანებად, რომ არ დაადგინა, რა პერიოდის დავალიანებას მოიცავდა საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ქონებაზე ყადაღის დადების უპირველესი წინაპირობაა აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა. საგადასახადო კოდექსის 87.13 მუხლის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადება იმ დავალიანებების აღსასრულებლად, რომლებიც არ არის აღიარებული, საჭიროებდა საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო დადასტურებას 72 საათის განმავლობაში. საგადასახადო მოთხოვნაში მითითებული თანხა გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული არ ყოფილა. ამდენად, დავის კანონიერი გადაწყვეტა საჭიროებდა საგადასახადო მოთხოვნაში ასახული საგადასახადო დავალიანების პერიოდის დადგენას. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია ქონებაზე ყადაღის დადება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 21-ე ნაწილით შეუწყდათ მიწაზე ქონების გადასახდის გადახდის ვალდებულება, ხოლო ჩამოწერის ვალდებულების წარმოქმნის შემდეგ გადახდილი თანხა ჩაითვლება ზედმეტად გადახდილად. საკასაციო სასამართლომ იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ იყო გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილებლად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-195-193(კ-12) 21.03.13).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 180-ე და მე-80 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/316-12 25.04.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/7362-11 31.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, ზაკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ისე მიიჩნია საჩივარი სოციალური მომსახურების სააგენტოში კანონით დადგენილი ერთოვანი ვადის დარღვევით წარმოდგენილად, რომ არ გაითვალისწინა ზაკ-ის 80.5 მუხლის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, როცა მოსარჩელეს სოციალური მომსახურების სააგენტომ წერილით აცნობა მისთვის სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზის თაობაზე, რის შემდეგ მოსარჩელემ კვლავ მიმართა სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და უსაფუძლოდ შეწყვეტილი დახმარების ანაზღაურება, მისი საჩივარი სოციალური მომსახურების სააგენტოს, ზაკ-ის მე-80 მუხლის 1-ლი ქვეპუნქტისა და 180-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაეგზაგნა ზემდგომ აღმინისტრაციულ ორგანოში. 80.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა აღმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, აღმინისტრაციული ორგანო

ვალდებულია, გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ აღმინისტრაციულ ორგანოს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილი საჩივარი უნდა ჩაითვალოს ზაკ-ის 180-ე მუხლით დადგენილ ვადაში შეტანილად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტი და სოციალური მომსახურების სააგენტოს დავალა ახალი ინდივიდუალურ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-486-480(კ-12) 26.02.13).

#### **სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 182.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1510-11 20.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/733-11 30.06.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებისას უგულებელყო ზაკ-ის 182.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, აღმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს აღმინისტრაციულ საჩივარს, თუ: სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ საკუთარი ინიციატივით წარადგინა შუამდგომლობა პრეზიდენტის წინაშე განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც სასამართლო წარმოება აღნიშნულ საკითხზე არ იყო დასრულებული. ამიტომ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1808-1776(კ-11) 30.04.13).

#### **სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 44-ე და 272 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ №3ბ/500-12 25.04.12) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-325-11 17.02.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ საკრებულოს არ გააჩნდა ინფორმაციის გაცემის უფლებამოსილება, ხოლო კონკრეტულ პირებზე გაცემული პრემიის თანხების ოდენობის თაობაზე ინფორმაცია განთავსებული იყო თვითმმართველ ქ. რუსთავის ვებ-გვერდზე. ასევე აღნიშნული თანხების შესახებ ინფორმაცია მითითებულია დეკლარაციებში. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზაკ-ის 44-ე მუხლი და არ გაითვალისწინა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ პირებზე გაცემული თანხების ოდენობის თაობაზე ინფორმაცია მოპასუხის მიერ მითითებულ საიტებზე განთავსებული არ იყო. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზაკ-ის 44-ე მუხლი შეიცავს საგამონაკლისო დებულებას თანამდებობის პირებისათვის. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები, რომ ზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და

საქმე ზელახლა განსახილველად დაპრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-527-518(კ-12) 30.05.13).

#### სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 319-ე და 150-ე მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/336-12 19.04.12) ახალციხის რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/0128-12 26.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სკ-ის 319.1 მუხლის შესაბამისად მიიჩნია, რომ მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში, რამდენადაც იპოთეკით დატვირთეს მხოლოდ 40 კვ.მ საცხოვრებელი ბინა და არა უნებართვო მიშენება, რის შედეგადაც მოსარჩელე გახდა მხოლოდ იპოთეკით დატვირთული ბინის მესაკუთრე. სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს სკ-ის 150.1 მუხლის მოთხოვნა და ის გარემოება, რომ მიშენების ცალკე უფლების ობიექტად დარეგისტრირებით ფაქტობრივად გამოუსადეგარი ხდებოდა საცხოვრებელი ბინა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზელშეკრულებაში მიშენების ფართის მიუთითებლობა განპირობებული იყო ფართის უკანონობითა და საჯარო რეესტრში აღურიცხავობით და მიიჩნია, რომ ზელშეკრულებაში ფართის მიუთითებლობა არ ქმნის სარჩელის უსაფუძვლობაზე მითითების საკმარის საფუძველს. სკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას ითვალისწინებს ნივთის ნაწილის კავშირს ძირითად ნივთთან, მის ბრუნვაუნარიანობასა და სამეურნეო დანიშნულებას. ცალკე უფლების ობიექტად შემადგენელი ნაწილის განხილვისათვის შესაძლებელი უნდა იყოს მისი ძირითადი ნივთისაგან გამოცალევება განადგურების, დანიშნულების მოსპობის, სარგებლიანობის დაკარგვის გარეშე. საკასაციო სასამართლომ „ბინათმესაკუთრეთა ამჟანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით განმარტა, რომ ინდივიდუალური საკუთრების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ის ფართი, რომელიც შეიძლება, მოსცილდეს ბინის საერთო ფართს ისე, რომ ამით გაუმართლებლად არ შეიძლებოს სხვა მესაკუთრის უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ზელახლა განსახილველად დაპრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-625-613(კ-12) 18.04.13).

#### სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 247-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/948-12 06.09.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1012-12 14.06.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ისე გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ მისთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში არ დაადგინა, რომელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ როდის, რა პირობებით, რა საჭიროებისათვის და რომელი სამართლებრივი აქტით დატვირთა სადავო მიწის ნაკვეთი სერვიტუტით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აუქციონის პირობებში მითითებული შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, მოსარჩელისათვის ღობის შემოვლების აკრძალვას ან სერვიტუტს გულისხმობდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოსაკვლევია, რა მიზანს ემსახურებოდა სადავო მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის დადება, იმ

პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთს თავისუფალი ნაკვეთი ესაზღვრება და სადაც მიწის ნაკვეთი არ არის ცენტრალური გზა და ამასთან, იგი არც სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მხრიდან სერვიტულის გაუქმების მოთხოვნა სწორედ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ მან მოიპოვოს შეძენილ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობის უფლება. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს, ის სამართლებრივი შედეგი, რისი დადგომაც სურდა მას და ამ კუთხით იმსჯელოს განსახილველი სამართალურთიერთობის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-761-745(კ-12) 16.05.13).

**სასამართლოს შეცდომა („სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების №609 მე-9 თავის მე-6 პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1374-12 22.11.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3557-12 25.09.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა დაკარგეს კუთვნილი შვებულებით სარგებლობის უფლება, ვინაიდან მათ არ გაუსაჩივრებიათ თანამდებობიდან დათხოვნის ბრძანებები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის №583 ბრძანება არ ითვალისწინებდა დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა შვებულების ანაზღაურებას, რაც სარჩელის დაუკამყოფილებლობის საფუძველი გახდა და არ გაითვალისწინა „საჯარო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონი 11.4 მუხლის მოთხოვნა. **საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის წესის“ შესახებ დებულების მე-9 თავით განსაზღვრულია, რომ შვებულების ანაზღაურების უფლება დათხოვნის შესახებ ბრძანების გასაჩივრების გარეშეა გარანტირებული. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით ასევე დადგენილია სამხედრო მოსამსახურის უფლება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების შესახებ, რომლის მოქმედება უნდა გავრცელდეს მოსარჩელებზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც არ ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში გამოყენებელი, ყოველწლიური კუთვნილი შვებულების ფულად ანაზღაურებას, ეწინააღმდეგება იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომლითაც დამტკიცდა „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-98-91(კ-13) 25.06.13).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 60<sup>1.4</sup> მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/166-12 30.04.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1404-10 17.08.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, ზაკ-ის 60<sup>1.4</sup> მუხლის მოთხოვნის უგულებელყოფით ყოველგვარი

დასაბუთების გარეშე გაავრცელა კანონიერი ნდობის პრინციპი 36 კვ.მ მიწის ნაწილში ადმინისტრაციულ-სამართლებლებრივი აქტების მიმართ და არ გაითვალისწინა აღნიშნულ ფართზე მესამე პირის ინტერესები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაავრცელა კანონიერი ნდობის პრინციპი 36 კვ.მ მიწის ნაწილში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართა მაშინ, როდესაც აღნიშნული ფართის ნაწილში სასამართლოს სადაც აქტების კანონიერებაზე მესამე პირის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ემსჯელა და დაედგინა ამხანავობის ინტერესები დაირღვა თუ არა. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის ხელახლი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მესამე პირის კანონიერი ინტერესებისა და მოსარჩელის კანონიერი ნდობის პრინციპის ურთიერთშებირისაპირების საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სადაც 36 კვ.მ მიწის ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-540-531(2კ-12) 28.02.13).

**სასამართლოს შეცდომა (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 146<sup>1.3</sup>, 236.1, 240-ე, 252-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/733-12 04.07.12) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-203-11 01.11.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეფასებისას არ დაადგინა არსებობდა თუ არა არამართლზომიერი, როგორც დასჯადის ქმედების შემადგენლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 146<sup>1.3</sup> მუხლის შესაბამისად. იმავე კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, არ გამოარყია, მოსარჩელემ ჩაიდინა თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, 240-ე მუხლის შესაბამისად, არ დაადგინა, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია თუ არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე. აგრეთვე სასამართლომ 252-ე მუხლის შესაბამისად არ განუმარტა მოსარჩელეს თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, იმისათვის, რომ ფიზიკურ თუ იურიდიული პირის ქმედებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 146<sup>1.3</sup> მუხლის კვალიფიკაცია მიენიჭოს, უნდა არსებობდეს არამართლზომიერი როგორც დასჯადი ქმედების შემადგენლობა. კერძოდ: ზუსტად უნდა იყოს დადასტურებული სამართალდამრღვევი ჩამდენი პირის ვინაობა, დაბინძურებული ტერიტორიის ფარგლები და ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას. იმავე კოდექსის 240-ე თანახმად, სამართალდარღვევის ოქმის შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა იქ, სადაც არ გამოვლენილა სამართალდარღვევა, წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე არ გამოიკვლია სამართალდამრღვევს განემარტა თუ არა ამავე კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმის გარემოებათა ხელახლი გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-785-769(კ-12) 05.03.13)

— ანალოგიური საქმეა №ბს-585-575(კ-12) 05.03.12.  
იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/587-12 16.05.12.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/864-12 29.03.12).

სასამართლოს შეცდომა („ფიზიკური და კერძო სამართლის ოურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლო (№2ბ/1732-11 28.12.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/225-09 11.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა სადავო მიწის ნაკვეთი მოსარჩევეთა მართლზომიერ მფლობელობაში იყო თუ არა და სწორად აღირიცხა თუ არა მოწინააღმდეგე შხარეთა საკუთრებად „ფიზიკური და კერძო სამართლის ოურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილი იყო „ფიზიკური და კერძო სამართლის ოურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის საფუძველზე საკუთრების უფლება აღიაროს მხოლოდ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთზე და მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო წარმოების კანონიერების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა ურთიერთშესაბამისი იყო თუ არა მოწინააღმდეგე შხარეთა მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები — მშენებლობის ნებართვები, საპროექტო დოკუმენტაცია და მიწის ნაკვეთის გეგმის მონაცემები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-208-206(კ-12) 28.03.13).

— ანალოგიური საქმეა №82-82(კ-12) 18.04.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/1471-11 22.11.11.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/15-11 19.05.11).

სასამართლოს შეცდომა („ფიზიკური და კერძო სამართლის ოურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლო (№3ბ/694-12 26.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/9997-11 20.04.12) სააპელაციო საჩივრის განხილვისას „ფიზიკური და კერძო სამართლის ოურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ 2012 წლის 1-ლი იანვრიდან კერძო სამართლის ოურიდიული პირი კარგავს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების

აღიარების უფლებას. აღნიშნული თარიღის შემდეგ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ მოთხოვნის საფუძველი არ პასუხობს საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლომ თავად უნდა გადაწყვიტოს უფლებრივი საკითხი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და სკ-ის მე-6 მუხლის შესაბამისად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უპირატესით ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. ნორმა, რომლისთვისაც კანონმდებელს უკუმაღა არ მიუნიჭებია, ვრცელდება იმ სამართალურთიერთობაზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაავალა ახალი ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-672-658(კ-12) 12.03.13).

— ანალოგიური საქმეა №ბს-849-831(კ-12) 25.06.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/911-12 04.09.12.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3-301-11 29.02.12).

სასამართლოს შეცდომა ( „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი; საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის მე-11 ნაწილი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-85-12 28.03.12) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/165-11 23.12.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას და სარეგისტრაციო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას არ გათვალისწინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უგულებელყო „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილისა და საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის მე-11 ნაწილის მოთხოვნები. მან ფაქტობრივად არ ჩაატარა აღმინისტრაციული წარმოება და განმცხადებელს მხოლოდ მართლზომიერი ფლობის ფაქტის დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტების წარდგენა დაავალა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე უფლების მოპოვებით, უფლება ვრცელდება მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზეც, რომლის არსებით შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს იგი. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მითითება, რომ შენობის მართლზომიერი მფლობელობის მიუხედავად სადაცო შენობაზე დამაგრებული მიწის ფლობის მართლზომიერება მიწაზე სათანადო დოკუმენტაციის არსებობის გარეშე. ამდენად, არასწორია სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მითითებული დოკუმენტაცია ადასტურებდა არა მიწის, არამედ შენობის

მართლზომიერი ფლობის ფაქტის. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩევე მიწის გადასახადით იბეგრებოდა არა მარტო უშუალოდ მისი შენობის ქვეშ არსებული მიწის, არამედ პურის საცხობის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფართობის ფლობის გამოც. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციულ აქტები და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა რეგისტრაციის თაობაზე ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-439-434(კ-12) 06.06.13).

**სასამართლოს შეცდომა („ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-19 პუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-316-2012 04.09.12) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-13 24.04.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სადავო ოქმი არ წარმოადგენდა „აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს“ – ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას, ვინაიდან არ იყო ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ოქმი არ შეიცავდა ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-19 პუნქტი, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონება წარმოადგენდა უძრავ და არა მოძრავ ქონებას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-19 პუნქტი ითვალისწინებს საკრებულოს უფლებამოსილებას, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მხოლოდ მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-19 პუნქტზე საფუძველს მოკლებულია. საქმის განხილვაში არ იყო ჩაბმული დაინტერესებული მხარე, რომლის საჩივრის საფუძველზე ჩატარებული წარმოების შედეგად გამოიცა სადავო აქტი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-818-802(კ-12) 27.06.13).

**სასამართლოს შეცდომა („ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 26-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/335-12 28.03.12) ახალციხის რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-165-11 31.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებულ იქნა ცენტრალური პარკი და სკვერი. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ არ არსებობდა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებას არ წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო, გამოეკვლია მუნიციპალიტეტის სახელზე მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას გადაიფარა თუ არა სხვა პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. საკასაციო სასამართლომ ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენებით ბათილად ცნო სადაც ადმინისტრაციული აქტი და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-488-482(კ-12) 25.06.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 423-ე და 487-ე მუხლები, „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/546-12 29.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 3/3377-11 27.12.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ბეს სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნასთან დაკავშირებით „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად განმარტა, რომ აუქციონის შედეგები ავტომატურად უქმდება და ქონების შემძენს გადახდილი ბე არ უბრუნდება ან კარგავს საბანკო გარანტიას, თუ ქონების შემძენი არ ეთანხმება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს, ან ოქმის პირობებს, ან აუქციონის შედეგებს. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სკ-ის 423-ე და 487-ე მუხლების მოთხოვნები. **საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ სკ-ის 487-ე მუხლის თანახმად განმარტა, რომ გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საკასაციო სასამართლომ სკ-ის 423-ე მუხლის თანახმად განმარტა, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-843-827(კ-12) 25.06.13).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1100-12 03.10.12) ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/25-12 26.06.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სადაც უძრავ ქონებაზე რეგისტრაცია უკვე ძალადაგარეული იყო, ვინაიდან მასზე განხორცილდა ახალი რეგისტრაცია, რის შედეგადაც მოსარჩელებ მოახდინა თავისი უფლების რეალიზაცია და დარეგისტრირდა თანამესაკუთრედ, რითაც გასწორდა ხარვეზი სადაც უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულ მონაცემებში. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ პრივატიზაციის ზელშეკრულებით

მესამე პირს გადაეცა საცხოვრებელი ბინის 2 ოთახი საერთო ფართით 30 კვ.მ, ხოლო სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საჯარო რეესტრში აღირიცხა 63 კვ.მ ფართი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ პირისათვის კონსტიტუციით მინიჭებული საკუთრების ძირითადი უფლების შეზღუდვა, მოსარჩელის თანამესაკუთრედ გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ ტექნიკურ ხარვეზად. კონკრეტულ შემთხვევაში სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული სადაცო რეგისტრაციისას მიწის ნაკვეთის საერთო ფართი არ შეესაბამებოდა მიწის ნაკვეთის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემებს. ასევე განაშნიანების საერთო ფართი, რომელზედაც აღირიცხა მესამე პირების საკუთრების უფლება, არ შეესაბამებოდა პრივატიზაციის ხელშეკრულებაში მითითებულ ფართს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს დავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-851-833(კ-12) 11.06.13).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი):** ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-79 4-11 12.03.12) მესტიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/ა-01 28.07.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რადგან სარეგისტრაციო სამსახურს არ გააჩნდა სარეგისტრაციო უძრავი ქონების ადგილმდებარეობისა და საზღვრების კონფიგურაციის შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული საკადასტრო მონაცემების ამსახველი ზუსტი ინფორმაცია, რის გარეშეც შეუძლებელი იყო უძრავი ნივთის (მიწის ნაკვეთის) საკუთრების უფლების დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაცია, მარეგისტრირებელმა ორგანომ უარი უთხრა ასეთი რეგისტრაციის განხორციელებაზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. სასამართლოს მსჯელობის საგნად არ ქცეულა მოსარჩელის არგუმენტები, რომ მიწის ნაკვეთის დაზუსტებისას არ დაფიქსირებულა ზედდება და ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის სახელზე გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერი შეიცავდა მიწის ნაკვეთის მაიდენტიფიცირებულ მონაცემებს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რეგისტრაციის ახალი სისტემის დანიშნულება საკუთრების უფლების უკეთესი დაცვის გარანტი უნდა იყოს და არა საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი. კანონი ნებისმიერ შემთხვევაში იცავს მესაკუთრეს, ახალი წესით აქვს მას ქონება დარეგისტრირებული თუ ძელი წესით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის საკუთრების დაზუსტებით და ახალი წესის შესაბამისად საკუთრების უფლების რეგისტრაციით არ იღაბებოდა მოსაზღვრე მიწის ნაკვეთების მესაკუთრების უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სარეგისტრაციო სამსახურს დავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-434-429(კ-12) 20.06.13).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი):** თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1096-12 30.08.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1241-12 12.07.12) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ გამგეობის დადგენილებაში და საიჯარო ხელშეკრულებაში მითითებული ფართები არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, კერძოდ, საიჯარო ხელშეკრულებაში მითითებული ფართი აღმატებოდა გამგეობის დადგენილებაში მითითებულ ფართს, ეს გარემოება წარმოადგენდა უძრავი ნივთის პრივატიზებაზე უარის თქმის საფუძველს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის პირდაპირი ფორმით პრივატიზაცია წარმოადგენდა სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია აღმინისტრაციული ორგანოსათვის არის არა უფლება, არამედ ვალდებულება. სათანადო წინაპირობების არსებობისას აღმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემოქმედა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 12.7 მუხლით დადგენილი წესით, კერძოდ, გაეგზავნა შეტყობინება საპრივატიზებო საფასურის გადახდის თაობაზე და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში დადო ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საიჯარო ფართის მეტობა დოკუმენტაციაში მითითებული ფართზე, მოიჯარეს სულ ცოტა უნარჩუნებს დოკუმენტაციაში მითითებული ფართის პრივატიზების უფლებას. საკასაციო სასამართლომ დავის საგნის დაზუსტებისა და მოთხოვნის ტრანსფორმირების მიზნით გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-793-777(კ-12) 06.06.13).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.1 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/71-12 21.02.12) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/30-11 19.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, ერთი მხრივ, აღიარა მიწის ნაკვეთის მოსარჩევისადმი კუთვნილება ფორმალურად (ე.ი დაეთანხა რეესტრის ჩანაწერს), ხოლო, მეორე მხრივ, გამორიცხა, ფაქტობრივად უარყო საკუთრება. დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ ვერ ხერხდებოდა ნაკვეთის იღენტიფიცირება, მით უფრო, რომ სასამართლომ ვერ მიუთითა მოსარჩევის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობა. აგრეთვე არ მიიღო მხედველობაში რეგისტრირებული უფლებათა რიგითობა და არ გაარკვია საკითხი იმის შესახებ, თუ რომელს გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი. გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავდა ასევე მსჯელობას სახელმწიფოს სახელზე 1560 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერებასთან დაკავშირებით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.1 მუხლის შესაბამისად, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე იყო რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავდა შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. კერძო პირის სახელზე არსებული რეგისტრაცია გამორიცხავდა სახელმწიფო რეგისტრაციის განხორცილებას. შესაბამისად, აღმინისტრაციულ ორგანოს, მის საკუთრებად უმრავი ქონების აღრიცხვის თაობაზე სარეგისტრაციო სამსახურისადმი მიმართვის გადაწყვეტილების მიღებისას, ხელთ უნდა ჰქონოდა საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაცია ნაკვეთთან დაკავშირებით, მათ შორის, ნაკვეთის დაუზუსტებელი რეგისტრაციის რეკვიზიტების შესახებ. მოსარჩევეს ფაქტობრივად წაერთვა საკუთრების უფლება სადაცო

ნაკვეთზე, მიუხედავად იმისა, რომ მის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია ძალაში იყო. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოს განხილვისა და შეფასების საგნად უნდა იქცეს აღიარების კომისიის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაიცა საკუთრების მოწმობა, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-468-463(კ-12) 30.04.13).

**სასამართლოს შეცდომა („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.7 მუხლი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/772-12 20.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/637-12 27.04.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად ხელფასის ოდენობა დადგენილია სპეციალური კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე მითითება არ იყო მართებული, ამიტომ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქენტებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, უდავოა, რომ განსახილველ შემთხვევაში ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა იხელმძღვანელოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დარღვეულ იქნა ზაკ-ის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. ამდენად, არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება და აღმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-620-608(კ-12) 11.04.13).

**სასამართლოს შეცდომა („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 45-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/524-12 16.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3491-11 13.03.12) სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის კანონით დადგენილ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობით, დარღვეული იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და, იმავე კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა წარმოადგენდა ავტორიზებული პირის სანქცირების საფუძველს.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინადან ავტორიზებულმა პირმა სადამუქნებლო დოკუმენტაციაში ცვლილება განახორციელა

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებების ამოქმედებამდე, ავტორიზებული პირის მიერ მოქმედების განხორციელების შემდგომ კანონში შეტანილი ცვლილება არ უნდა გავრცელებულიყო ცვლილებამდე არსებულ ქმედებაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კომისიამ უნდა იმსჯელოს, მოცემულ შემთხვევაში რამდენად მართებულია კომისიის მიერ აღმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) დაკისრება იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ დროულად არ აცნობა მას სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ასკ-ის 32.4. მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო აღმინისტრაციული აქტი და აღმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №567-557(კ-12) 26.03.13).

სასამართლოს შეცდომა („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი):  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1078-2012 09.03.12) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/99-11 28.09.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა შენობა-ნაგებობების უსინათლოთა კავშირის ბალანსზე აღრიცხვის ფაქტის მნიშვნელობაზე. ასევე საქმეზე არ იყო დადგენილი, აგრეთვე, უსინათლოთა კავშირის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების რაოდენობა, მათ მიერ დაკავებული მიწის ფართობი მაშინ, როდესაც სააპელაციო პალატის მიერ საქმის განხილვისა და საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ სადავო აქტის გამოცემის დროისათვის მოქმედებდა წესის განახლებული რედაქცია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წესის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, საქართველოს პრეზიდენტის 18.01.11წ. №27 ბრძანებულებით შეტანილი დამატებების შედეგად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად, სხვასთან ერთად, დამატებით მიუთითა 1999 წლამდე მიწის ანდა მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ბალანსზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების ერთ-ერთი საფუძველია. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა წესის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბ-413-408(კ-12) 30.04.13).

### 3. დასკვნა:

შესწავლილი მასალის განზოგადების შედეგად დადგინდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შემდეგი შეცდომები:

- სასამართლომ სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, ექსპერტის დასკვნები, ასევე სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავდა დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის

- მოტივებზე, აპელანტის მოსაზრებები არ იქნა გაქარწყდებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებული იყო;
- სასამართლო წესით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შეუძლებლობისას, როდესაც ვერ ხერხდებოდა სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება;
  - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დასაბუთებას, რადგან სასამართლომ საქმის გამოსაკვლევ გარემოებათა მითითების გარეშე დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს აზალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
  - გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც სასამართლომ საქმე მხარის დაუსწრებლად განიხილა მაშინ, როდესაც საქმეში არ მოიპოვება მხარისათვის სასამართლო შეტყობინების კანონით გათვალისწინებული წესით გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია;
  - სააპელაციო სასამართლომ ასკ-ის 281-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება არაკვალიფიციურად გამოიყენა, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა არასწორად ჩამოყალიბდა, რამაც განაპირობა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა.
  - სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 162-ე მუხლი ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და სსკ-ის 172-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით არასრულყოფილად შეაფასა მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა;
  - სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილება, თავისი ინიციატივით მიიღოს ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის;
  - სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, მაშინ როცა არსებობდა საქმის განხილვის შეჩერების პირობა სამოქალაქო დავის გადაწყვეტამდე;
  - სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება არ იყო შემოწმებული სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით (სსკ-ის 377-ე მუხლი);
  - სასამართლომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 135-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტის ასლის მტკიცებულების მინიჭების საკითხს წყვეტს სასამართლო, რაც იმას გულისხმობს, რომ დოკუმენტის ასლს სასამართლოსათვის გააჩნია მტკიცებულების ძალა სსკ-ის 135-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;
  - სასამართლომ საქმის განხილვაში არ ჩააბა სავალდებულო მოწვევის მესამე პირები მაშინ, როდესაც მესამე პირების ჩაბმის მიზანს საქმის ყოველმხრივი განხილვა, პროცესის ეკონომიურობა, სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რითაც დაარღვია ასკ-ის 16.2 მუხლის მოთხოვნები;
  - სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის საჭირო გარემოებანი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა გამოყენებული კანონის ნორმები, რითაც დაარღვია სსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები;

- სააპელაციო სასამართლომ დავა გადაწყვიტა არსებითად მაშინ, როცა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე სრულყოფილად არ მოუპოვებიათ და გამოუკვლევიათ საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკნის ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო.
- საქართველოს კონსტიტუციის 82.2 და სსკ-ის მე-10 მუხლის უგულებელყოფით, სასამართლომ კანონიერად ცნო ადმინისტრაციული ორგანოს აქტი არასაცხოვრებელი ფართის დემონტაჟის შესახებ;
- სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასშვებობის პირობების დაცვისა და მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობის საკითხზე, ასევე მოთხოვნის დაზუსტებისა და სათანადო მოპასუხის ჩართვის შესახებ;
- სააპელაციო სასამართლო, ნაცვლად იმისა, რომ გაეგრძელებინა საქმის განხილვა წინა სხდომაზე შეწყვეტილი პროცესუალური სტადიიდან, მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე გამოაცხადა მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, რითაც დაარღვია სსკ-ის 216-ე მუხლის მოთხოვნები;
- სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დასაშვებობის განხილვისას არ გაითვალისწინა ასკ-ის  $26^{2,5}$  მუხლის მოთხოვნა სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;
- სააპელაციო სასამართლომ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სადაცოდ არ გაუხდია აღმასრულებლის თითოეული დამოუკიდებელი მოქმედება მაშინ, როდესაც სარჩელი მოიცავდა პრეტენზიას ქონების შეფასების ოდენობის შესახებ და მოსარჩელემ საეჭვოდ მიიჩნევდა რა მისი კუთვნილი ქონების შეფასებას;
- სასამართლომ არასწორად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-4 მუხლები;
- სასამართლომ არასწორად განმარტა იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლი, მე-14 მუხლის 25-ე პუნქტი, მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი, რის გამოც დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული აქტები მიღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე;
- სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 29.01.2007 წლის №73 ბრძანებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-2<sup>2</sup> პუნქტი არაპრივატული საცხოვრებელი ფართის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ გადაცემის საკითხზე;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 269-ე და 271-ე მუხლის მოთხოვნები, რის გამოც ოქმი იქ შედგა, სადაც არ გამოვლენილა სამართალდარღვევა, რაც პროცედურის არსებით დარღვევებს წარმოადგენდა, არ გამოარკვია რა ობიექტური გარემოებებით იყო გამოწვეული სამართალდარღვევის ოქმის სხვა ადგილას შედგენა;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 237.2 მუხლი ხანდაზმულობის ვადის თაობაზე;

- სასამართლომ არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 12.23, 87.13, 281.15 და 281.21 მუხლების მოთხოვნები ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა ზაქ-ის 80.5 მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში;
- სასამართლომ ზაქ-ის 60<sup>1</sup>.4 მუხლის მოთხოვნის უგულებელყოფით გაავრცელა კანონიერი ნდობის პრინციპი მიწის ფართის ნაწილში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ და არ გაითვალისწინა აღნიშნულ ფართზე მესამე პირის ინტერესები;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა სკ-ის მე-6 მუხლის მოთხოვნა კანონის უკუქცევითი ძალის თაობაზე;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის საკითხის განხილვისას;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქცია მაშინ, როდესაც ავტორიზებულმა პირმა სადამუშანებლო დოკუმენტაციაში ცვლილება განახორციელა შეტანილი ცვლილებების ამოქმედებამდე;
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.1, 28-ე მუხლები და 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი და „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი, მხედველობაში არ მიიღო რეგისტრირებული უფლებათა რიგითობა და არ გაარკვია საკითხი იმის შესახებ, თუ რომელს გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი;
- სააპელაციო საჩივრის განხილვისას სასამართლომ არ გაითვალისწინა 182.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივრს, თუ სასამართლო წარმოებაში საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- სააპელაციო სასამართლომ ისე გათხიარა ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტაცია გასაჩივრებული აქტების კანონიერებაზე, რომ არ გაითვალისწინა ამ აქტის მიმართ მოსარჩევის კანონიერი ნდობის არსებობა, რითაც დაარღვია ზაქ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მოთხოვნები;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე არ გაითვალისწინა საქართველოს პრეზიდენტის 15.09.2007წ. №525 ბრძანებულების მე-2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელის ფაქტი შეიძლება დადასტურებულიყო „სხვა დოკუმენტებითაც“;
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლი და არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ

კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას;

- სააპელაციო სასამართლომ დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის კანონიერების შემოწმებისას არ გაითვალისწინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის მოთხოვნები და იხელმძღვანელა მხოლოდ „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით;
- სააპელაციო სასამართლომ რეგისტრაციის კანონიერების შემოწმებისას არ გაითვალისწინა სკ-ის 150.1 მუხლის მოთხოვნა და ის გარემობა, რომ მიშენების ცალკე უფლების ობიექტად დარეგისტრირებით ფაქტობრივად გამოუსადეგარი ხდებოდა საცხოვრებელი ბინა;
- სააპელაციო სასამართლომ ისე შეაფასა კანონიერად სააპელაციო ორგანოს მიერ მოსარჩელის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მიჩნევის საკითხი, რომ ვერ დაასაბუთა, თუ რაში გამოიხატა მისი ბრალეულობა, რითაც დაირღვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-19 მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტები;
- სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა, მოსარჩელემ დაარღვია თუ არა კანონი და კონკრეტულად რომელი სამშენებლო ნორმები არ დაიცვა, არ გაითვალისწინა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა  
და განზოგადების განყოფილება**